პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 249 (19690) ხუთშაბათი, 30 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სახ. სამ. ... ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღგენს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1986 წლის 29 ნოემბერს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. კინაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი. 1986 წლის 29 ოქტომბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება, რომ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის განსახილველად შეტანილი იქნება შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.
2. საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.
4. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების ახალ რედაქციასთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.



აგრარსამრეწველო კომპლექსის მშრომელებო! გააუმჯობესეთ სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფა! ფართოდ გამოიყენეთ ინტენსიური ტექნოლოგიები — მინდვრებისა და ფერმების პროდუქტიულობის გაზრდის საიმედო საშუალება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

ქაღალთიანობა საიმედო რეზერვია

ემოდგომის დოვლათი და ბარაქა ჯერ კიდევ დასაბინავებელია, მაგრამ ბევრი მეურნეობის მხვნელ-მოსავლელებმა და მეცხოველეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის რევოლუციის 69-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, სახელმწიფოს უკვე შარშანდელზე მეტი მარცვლეული, ხილბოსტნეული, ჩაის ფოთოლი, ყურძენი და მეცხოველეობის პროდუქცია მიჰყიდეს. რესპუბლიკაში შარშანდელზე გაცილებით მეტია დამზადებული მარცვლეული, ხორცი, კვერცხი, მატყული, საკვები. ზოიმატა წველადობამ. მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ არის, რადგან კიდევ უფრო მზარდია სურსათ-სანოვაგეზე მოსახლეობის მოთხოვნილება და ამის შესაბამისად ჯერ კიდევ ვერ შევქმენით ჭირნახულის გარანტირებული წარმოების პირობები.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის, სახოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია მიწების ღალის მომატება, ინტენსიური ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, მაგრამ ვიდრე ამას მოვიმოქმედებდეთ, პარტიას სასურსათო ფონდის შევსების უახლოეს წყაროდ მიაჩნია მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს.

განიხილა რა აღლოობის ორგანიზებულად მოწყობის საკითხი, პოლიტბიურომ პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს შესთავაზა მიიღონ ზომები, რათა უმოკლეს ვადაში დამთავრდეს მარცვლეულის მოსავლის აღება, ყველაფერი გაკეთდეს საიმისოდ, რომ არ დაიკარგოს მოყვანილი ჭირნახულის არც ერთი ცენტნერი, მინდვრებში მოწეული და ფერმებში მიღებული მთელი პროდუქცია მაღალხარისხოვნად და დროულად მივიდეს მომხმარებლამდე და სრულად იყოს გამოყენებული სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად.

აქედან გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ მაქსიმალურად ავამოქმედოთ ყველა ჩვენი რეზერვი — ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, გავზარდოთ შრომის სტიმულირების ქმედითობა, განვამტკიცოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა, დავზოგოთ ყველგან და ყველაფერში, თვალი არ ავარიდოთ ეუყაირათობას და შფლანგველობას.

ამ მხრივ საკმაო რეზერვები გვაქვს. მოსმარების რესურსებში მატებამ, აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე, შეიძლება შედგინოს დაახლოებით 20, ზოგიერთი სახეობის პროდუქციის მიხედვით კი თითქმის 30 პროცენტიც. დანაკარგების აღმოსაფხვრელად სარჯუნიც 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე იმავე მოცულობის პროდუქციის დამატებითი წარმოების დროს.

ეს გარემოება გვაჯალებს მთელი ჩვენი შესაძლებლობების, მატერიალური რესურსების და დოვლათის უაღრესად რაციონალური გამოყენებისა და დაზოგვის საკითხებს განვიხილავდეთ ახლებურად, და არა ისე, რომ „დავზოგავთ — კარგია, არ დავზოგავთ და არც ამით დაშავდება რამეო“. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ხუთწლიან გეგმაში ჩამოყალიბებულია პრინციპულად ახალი მიდგომა მატერიალურ რესურსებზე ეკონომიკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი. თუ წინათ მათი მატება ძირითადად უზრუნველყოფილი იყო მოპოვებისა და წარმოების გადიდების გზით, ახლა მნიშვნელოვანწილად დაზოგვის გზით ხდება. და ამიტომაც ახე საჭიროა უფრო აქტიურად გამოვიყენოთ ისეთი პროგრესული ტექნოლოგიები, და ტექნიკა, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ აღვკვეთოთ დანაკარგები, ვიმუშაოთ თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით.

დაზოგვითა და სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულებით დღეს მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ჩვენი გეგმების რეალიზაცია. ამიტომ როცა ვანგარიშობთ იმას, რაც უკვე გვაქვს, უპრიანია მხედველობიდან არ გამოვტოვოთ ისიც, რაც შეიძლებოდა გვქონოდა, მაგრამ ხელიდან გავუშვით, ვერ მივიღეთ, რეზერვების რეალიზებას თავი ვერ გავაროვნეთ.

ამ მოთხოვნათა საფუძველზეა აგებული მუშაობა ხობის რაიონის ახალი ხიბულის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ალეკსანდრ კუმულარია). აქ კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის მეთოდით მომუშავე ადამიანები მართვასა და მეურნეობრიობის ახალ ფორმებს ეწევიან, ყველა ინტენსიურ ტექნოლოგიურ პროცესს ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ; მომჭირნეობის რეჟიმს უმკაცრესი დაცვის, შრომის დისციპლინის გაუმჯობესებისა და მისი კულტურის ამაღლების წყალობით პექტარის დიდ უკუგებას, პროდუქციის გამოსავლიანობას აღწევენ.

ამის მეოხებით კოლმეურნეობაში დიდძალი ნედლეული, ფინანსური თუ შრომითი რესურსები იზოგება. მაგალითად, თითოეული ცენტნერი რძისა და ხორცის მისაღებად საგეგმოსთან შედარებით შესაბამისად დახარჯული 32-26 პროცენტით ნაკლები საკვები. ელექტროენერგიისა და საწვავ-საპოხი მასალების ეკონომიამ შესაბამისად 8,9-7,6 პროცენტი შეადგინა. ამის შედეგად პროდუქციის თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით 8 პროცენტით შემცირდა; თანაც უმცირესი დანახარჯებით მიღწეულია საუკეთესო მაჩვენებლები. თითოეული ფური აქ წელიწადში 3000 კილოგრამამდე რძეს იწველის, ხოლო სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პირუტყვის წონა 412 კილოგრამამდე, ანუ რესპუბლიკურ საშუალო დონესთან შედარებით 138 კილოგრამით მეტია.

ამგვარი ეკონომიანი ბარჯი, რესურსების დაზოგვის რეზერვების ძიება და ჰპოვნა სჭირდება ახლა რესპუბლიკის ყოველ შრომითს კოლექტივს, თითოეულ მუშაკს, რადგან, როგორც ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა, ნათლად უნდა გვესმოდეს: არ დაზოგვა, მაშასადამე, საქმეს გულგრილად მოეკიდე, ვალში ხარ სახელმწიფოს წინაშე, საკუთარი სინდისის წინაშე. უყაირათობა შეუწყნარებელია და მის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა მოვახმაროთ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების შეცადინეობა, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა, დაგეგმვა, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტები.

ამ მოთხოვნის განუხრელ შესრულებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული წლეულს და მოლიანად ხუთწლედში ჩვენი წარმატებები, მაგრამ მომჭირნეობას — ყველასათვის ხელმისაწვდომ რეზერვს ყველგან ჯეროვან ყურადღებას როდი უთმობენ. იმის გამო, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებები თავიანთ ქვეგანაყოფებში კონტროლს არ უწევენ საწვავ-საპოხი მასალების, ელექტროენერგიის ნორმრეგებასა და ხარჯვას, შუმაობის ხარისხს, მაიაკოვსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმო-დაწესებულებებში დიდძალი საწვავი გადაიხარჯა. ოვონი წყაროს რაიონის ნინწყაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ წლეულს 65 ათასზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯა; ხარისხის კომისიამ ათიათასობით პირობითი ქილა კონსერვი დაიწუნა და გადასამუშავებლად დაუბრუნა საგარეჯოს, ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონების შესანამის ქარხნებში; უხარისხო საკვების დამზადების ფამი ბევრ რაიონში მთელი ფურაჟის მეხუთედი, ზოგან კი მეტი ეკარგებათ. მაგალითად, ახალციხის რაიონის სოფელ ძველის კოლმეურნეობაში წმწვანე მასის ჩადება ისე დაგვიანეს, რომ მასში 10 მილიგრამი კოროტინიდა დარჩა, რის გამოც 550 ტონა სენაჟიდან 66 ტონა საკვები ერთეული დაიკარგა. საკვების დამზადების ტექნოლოგიის დარღვევის გამო დუშეთის რაიონის გრუმისხევის საბჭოთა მეურნეობაში 33 ტონა საკვები ერთეული დაკარგეს.

რედაქციაში მოდის სიგნალები იმის თაობაზე, რომ ათობით ტონა რძის დანაკარგები მოსდევს ფერმებში სამეცივრო დანადგარების გაუმართაობას, ზოოტექნიკური და ვეტერინარული წესების დაუცველობას.

მეურნეობის ამგვარი უნიათო გაძღოლის მაგალითები გვხვდება იქ, სადაც პარტიულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს მუდამ თვალთახედვის არეში არა აქვთ მომჭირნეობის საკითხები, მხარს არ უჭერენ იმათ, ვინც ზოგავს და რაციონალურად ხარჯავს ნედლეულს, ელექტროენერგიას, სათბობს, მკაცრად არ მოკითხავენ იმ კონკრეტულ პირებს, რომლებიც არაორგანიზებულობის, უყაირათობისა და მოშვებულობის თითოეული ფაქტის მიღმა დგანან, არ ახორციელებენ კომპლექსურ ღონისძიებებს მტკიცე წესრიგის დასამყარებლად, რომლის დროსაც რესურსების გადახარჯვა არ იქნება ხელსაყრელი, მომჭირნეობა კი საგრძნობლად ანაზღაურდება.

აგრომრეწვის მუშაკებმა პარტიის მოწოდების პასუხად სამეურნეო წლის ფინიშზე უნდა გააქტიურონ მეცადინეობა, რათა უაირათიანი მარჯით, ინტენსიური ტექნოლოგიების მარჯვედ გამოყენებით გააუმჯობესონ სურსათით ქვეყნის მომარაგება.

ДИДИ ОКТОМБРИС, ШЕСАБЧЕДРАД

კრეფენ ციტრუსს

დასავლეთ საქართველოს მეურნეობათა პლანტაციებში დაიწყო ციტრუსის კრეფა. მანდარინის კრეფას შეუდგნენ მახარაძის რაიონის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ნატანების საექსპერიმენტო საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. აქ პირველად დაამზადონ 1500 ტონამდე ნაყოფი.

უახლოეს დღეებში მოსავლის აღებას დაიწყებენ სოფლების ნატანების, შრომის, გურიანთის კოლმეურნეობები, რომლებიც ოც ტონა რჩეულ მანდარინს გაუგზავნიან თბილისის მშრომელებს სადღესასწაულო ვაჭრობისათვის.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვაში გვაცნობეს: შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ მოსავლის ასაღებად აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა ქვეგანაყოფისათვის შემოშავებულია ნაყოფის კრეფის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ზუსტი გრაფიკი.

რესპუბლიკის მეციტრუსეები აპირებენ წელს დაამზადონ სულ ცოტა 200 ათასი ტონა ციტრუსი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 40 ათასი ტონით მეტია.

სადღესასწაულო სამზადისი

რაც უფრო ახლოვდება დღესასწაული, მით უფრო მეტი გამოცოცხლება სუფევს ხოლმე მაღაზიებში და საბრუნავიც ორმაგი უჩნდებათ უნივერმაღის ან თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზიების გამყიდველებს, საზოგადოებრივი კვების მუშაკებს — ბევრად მეტი სამრეწველო საქონელი და კვების პროდუქტია გასაყიდი, ვიდრე ჩვეულებრივ სადაგ დღეებში.

ასეა ამჯერადაც. საქართველოს დედაქალაქისა და სხვა ქალაქების თვითმომსახურების უნივერსალურ მაღაზიებსა და დიდ სასურსათო მაღაზიებში უკვე მუშაობენ წინასწარი შეკვეთების მაგიდები, იღებენ საქონლის შინ მიტანის შეკვეთებს, კაფეები და რესტორნები ეპატიჟებიან თბილისელებსა და მათს სტუმრებს საოჯახო სადილებსა და ამხანაგურ ზეიმებზე. კულინარული და საკონდიტრო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა კი მოეწყობა მასობრივი სეირნობის ადგილებში.

როგორც ყოველთვის, საუკეთესო სპეციალისტები, ოსტატებზარეულები აქვე, გამოფენაზე, ურჩევენ მოქალაქეებს, თუ როგორ ათქვეფონ უკეთ კრემი „ჩიტის რძისათვის“, გააცხობენ ჩიხირთმის მომზადების საიდუმლოებას...

კარგი გამოდგა თვლიანი კაფეები ანუ ეგრეთ წოდებული სწრაფი მომსახურების ობიექტები. თბილისში, მაგალითად, მათ ნახავთ გამარჯვების პარკში, კონსტიტუციის მოედნის სკვერში, მეტროს სადგურების მახლობლად, იქ, სადაც განსაკუთრებული მოთხოვნა იქნება მათს პროდუქციაზე — წვენებზე, ნამცხვრებსა და ხაჭაპურზე.

ავდარი თუ იქნა? თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის რესტორნებისა და სასადილოების ინტერიერებს დაამშვენებს ორიგინალურად გაწყობილი მაგიდები. ცხელი ქართული ჩაითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდებიან ისინი სტუმრებს.

სადღესასწაულო რთაველ უნივერმაღების, სხვა სამრეწველო საქონლის მაღაზიების ვიტრინებს. გეგმის დამატებით გაიყიდება სხვადასხვა სამრეწველო საქონელი, გაუმჯობესებული ხარისხის ფეხსაცმელი, შეკერილი ნაწარმი, პარფიუმერია და კოსმეტიკა, სუვენირები და გალანტერეა.

სადღესასწაულო ვაჭრობისათვის ემზადებიან საკოლმეურნეო ბაზრები. ხალხმრავლობა იქნება აგრომრეწვისა და ეკკავშირის ბაზრობებზე. მოქალაქეებს სადღესასწაულო სუფრისათვის ქართველი კოოპერატორები შესთავაზებენ თხილსა და ხურმას, ბროწეულსა და თაფლს, ლიმონსა და მწვანილს, ვაშლსა და ყურძენს, ყველსა და ძეხვს.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები ცდილობენ ყველაფერი იღონონ, რათა ოქტომბრის ზეიმის წინ საქონლის ასორტიმენტი ნამდვილად სადღესასწაულო იყოს.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 28 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე განიხილა სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის წევრი კომუნისტების შუმაობის სტილისა და მეთოდების საკითხი. აღინიშნა, რომ გარდაქმნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში ხორციელდება ზერელედ და ფორმალურად, არ ეხება სატრანსპორტო საწარმოთა შუმაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს, სოციალისტური კანონიერების დარღვევებს, სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

სერიოზული ხარვეზებია სამინისტროს ხელმძღვანელობის, კოლეგიის წევრთა საქმიანობაში, არ არის სისტემურობა, მომთხოვნელობა, კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, რასაც მოჰყვა კადრებთან მუშაობის, მგზავრთა მომსახურების კულტურის დაბალი დონე, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური შენახვისა და ექსპლოატაციის პირობის უხეში დარღვევები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გაერთიანების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების დასაბრმავად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლეგიის წევრ კომუნისტთა შუმაობის სტილი და მეთოდები ვერ აკმაყოფილებს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს, და სკკპ წევრს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს თ. დავითაშვილს მოსთხოვა განახორციელოს ამომწურავი ღონისძიებანი კოლეგიის საქმიანობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, პირადად ჩაუდგეს სათავეში მუშაობას, რათა დამყარდეს სახელმწიფო წესრიგი სისტემაში, დროულად და მწვავედ მოახდინოს რეაგირება დისციპლინის დარღვევების, დატაცებების, მექრთამეობის ფაქტებზე, გააძლიეროს ხელმძღვანელთა —კოლეგიის წევრთა და განსაკუთრებით თავის მოადგილეთა პერსონალური პასუხისმგებლობა ამ მიმართულებით.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრი პარტიული შეფასება მისცა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში საანგარიშგებო მონაცემების დამახინჯების ფაქტებსა და წამატებებს, აღინიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სისტემაში შექმნილი განუკითხაობისა და უკონტროლობის ვითარების, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა (მეორე მდივანი დ. მელქაძე) და საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის (პირველი მდივანი მ. ფაჩუაშვილი) საქმიანობაში უტარანციპობისა და ლიბერალიზმის გამოვლენის შედეგად შესაძლებელი გახდა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში (ყოფილი დირექტორი გ. გოგლიჩიძე, დირექტორი ო. ბალანჩივაძე, პარტკომის მდივანი ნ. ტუღუში). კომუნისტის წოდების შეუფერებელი მოქმედებისათვის, რაც გამოიხატა წამატებების დაშვებით, თვალსაზეგვის ფაქტებისადმი უპრინციპო დამოკიდებულ ბ ი ა ს ი ს, უკონტროლობის, ლიბერალიზმის, კადრების შერჩევასა და განაწილებაში ნაკლოვანებებისათვის ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების დირექტორი ო. ბალანჩივაძე და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი ნ. ბაღათურია გაირიცხნენ სკკპ რიგებიდან და განთავისუფლებული აქიან თანამდებობიდან, მსუბუქი მრეწველობის ყოფილი მინისტრი გ. გამცემლიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან, სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი მ. ნადიბაიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის პირველ მდივანს მ. ფაჩუაშვილსა და საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს დ. მელქაძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტსა და ქუთაისის ლენინის რაიკომს დაევალათ განიხილონ შესაბამისი პარტიული კომიტეტებისა და საწარმოო გაერთიანების მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი. მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილის მ. თენიშვილის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ პარტორგანიზაციას.

ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება პრესაში.

პარტიული და სამსახურებრივი ეთიკის ნორმების დარღვევისათვის, კერძომესაკუთრული მისწრაფებების გამოვლენის, მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის სკკპ რიგებიდან გაირიცხა სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ო. სტურუა და დაისჯა საკითხი თანამდებობიდან მისი გაწვევის შესახებ. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკალა განიხილოს ქუთაისის სადგურის ტრანსპორტზე შინაგან საქმეთა განყოფილების სბაკშვო ოთახის ინსპექტორის გ. ზიბზიბაძის ორგანებში ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი.

იმის გამო, რომ ჯეროვნად არ შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა, არ იხმარეს გადაუდებელი ზომები სახელგატეხილ მუშაკთა მიმართ, რომლებმაც თავიანთი ანარაზერი მოქმედებით გამოიწვიეს არაჯანსაღი საზოგადოებრივი რეზონანსი, პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველ მდივანს თ. იმედაძესა და იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილეს ზ. რატიანს გამოეცხადათ საყვედური, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ა. შუშანაშვილს მკაცრად მიეთითა.

საქართველოს სსრ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლეს სასამართლოს წინადადება მიეცათ დროულად და პრინციპულად მოახდინონ რეაგირება თანამშრომელთა შორის კერძომესაკუთრული ტენდენციების ყოველ გამოვლინებაზე, რომლებიც ზიანს აყენებენ სამართალდაცვითი ორგანოების ავტორიტეტს, მძრთლწესრიგის განმტკიცებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობას.

მკვლელობის შესახებ სისხლის სამართლის საქმის გამომიებისა ევალათ ბრალმდებელ ორგანოებს, ეფექტურად ეწარმოებინათ ეს საქმე, ობიექტურად, ყოველმხრივ, სრულად, ფართოდ, ობიექტურად, ყოველ ეჭვის, ეჭვიანობის, ეჭვმიტანილობის, ეჭვმიტანილ ადამიანთა ბრალეულობის, ეჭვმიტანილ ადამიანთა ბრალეულობის, ეჭვმიტანილ ადამიანთა ბრალეულ

საკვებწარმოების პრობლემა კომპლექსურად უნდა გადაწყდეს

თავიდანვე პირდაპირი კრიტიკით ვიწყებთ კორესპონდენციას: კარგა ხანია, რაც გუდაუთის რაიონის მეცხოველეებმა მთის საძოვრებიდან პირუტყვი ბარში ჩამორეკეს, მაგრამ ფერმები ყველგან როდი დახვდათ ზამთრისათვის სათანადოდ მომზადებული.

იტყვიან, აფხაზეთის ზღვისპირეთში ჯერჯერობით თბილი შემოდგომაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საძოვრებიდან დაბრუნებული პირუტყვის ღია ცის ქვეშ ყოფნა შეიძლებოდეს. რძის წარმოების თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგია მოითხოვს ძროხების ბაგურ კვებაზე ყოფნას. სამწუხაროდ, ამის საშუალება ყველგან როდია. რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ფერმების შეკეთება, საკვების დამზადებასაც კარგი პირი არ უჩანს.

ამით იმას როდი ვამტკიცებთ, თითქოს რაიონში ყველგან უიმედოდ იყოს საქმე: არა, პირიქით: ჩვენ მხოლოდ რეალობის მომხრე ვართ. იქ, სადაც საქმიანად გამოეხმაურნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელ დადგენილებას ავტონომიურ რესპუბლიკაში საკვების ჭასობრივი დამზადების ორთვიურის შესახებ, მდგომარეობაც კარგია. აი მაგალითიც: სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის და სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობებში, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირები ხ. აობა, დ. გოგიბერიშვილი ხელმძღვანელობენ, ყველა პირობაა შექმნილი პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრებისათვის. გარდა იმისა, რომ აქ დროულად შეაკეთეს და წესრიგში მოიყვანეს პირუტყვის ბინები, საკვების დამამზადებელი საამქროები, შექმნილია აგრეთვე მტკიცე საკვები ბაზა. ორივე კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა თვისა და სენაჟის დამზადების წლიური დავალებები. ლიხნელებმა უკვე მოამარაგეს 540 ტონა თივა, 1.500 ტონაზე მეტი სენაჟი და 1.300 ტონაზე მეტი სილოსი. ასევე მონდომებით იშრომეს ორჯონიკიძელმა საკვებმომპოვებლებმა, რომლებმაც დაამზადეს 340 ტონა თივა, 550 ტონა სენაჟი და 800 ტონა სილოსი...

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე არ არის. საქმე იქამდე მივიდა, რომ სენაჟის ჩადება არც ერთ სხვა კოლმეურნეობაში არ გახსენებიათ, და ამ მნიშვნელოვანი საკვების დამზადების დავალება ფაქტობრივად ჩაშალეს. მთლიანად რაიონში სენაჟის დამზადების გეგმა ლიხნისა და ორჯონიკიძის კოლმეურნეობათა მიერ ამ საკვების დამზადების დავალების ორმაგად გადაჭარბების ხარჯზე შესრულდა (?!). ერთი მხრივ, თითქოს რაიონმა ეს დავალება გადაჭარბებით შეასრულა, 540 ტონით მატი სენაჟი დაამზადა და აგროსამრეწველო გაერთიანებას (საბჭოს თავმჯდომარე — შ. ამპარი) თითქოს ფორმალურად ვერ უსაყვედურებ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: 16 კოლმეურნეობის პირუტყვი ზამთრისათვის უსანაყოდ რჩება. სამწუხაროდ, ვერც თვითს დამზადებას დაიკვეხნიან გუდაუთელი საკვებმომპოვებლები. საკმარისია ითქვას, რომ აქ თივის დამზადების წლიური დავალება „შესრულებულია“ მხოლოდ 51,2 პროცენტით. 5.140 ტონის ნაცვლად ადგილზე დაბინავებულია 2.632 ტონა თივა, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 1.633 ტონით ნაკლებია. პირუთვნელად უნდა ითქვას: ეს ყოველივე შრომის ორგანიზაციის მოშლისა და მეცხოველეობაში გარდაქმნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ბრალია.

...და ეს ხდება იქ, სადაც უმეტეს საზოგადოებრივ მეურნეობებს ისეთივე ბუნებრივი პირობები აქვთ, როგორიც ლიხნისა და ორჯონიკიძის კოლმეურნეობებს.

ზამთარი კარს მოგვდგომია, აფხაზეთის მთებში უკვე ჩამოთოვა, შესაძლებელია სულ მალე აცივდეს, ამიტომაც დაკარგული დროის ასანაზღაურებლად რაიონის კოლმეურნეობებში ახლაღა დაფაცურდნენ, ზამთრისათვის მომზადების ტემპს ერთგვაროდ უმატეს. ამასთან დაკავშირებით პარტიის გუდაუთის რაიკომმა მოითხოვა მეჩიდრო კავშირი დამყარდეს ქალაქის საწარმოებსა და ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს შორის. სოფლის კომუნისტებისა და დეპუტატების ჯგუფების მხარდაჭერით შრომითი კოლექტივები შეფობას უწევენ და პრაქტიკულად ეხმარებიან მეცხოველეებს.

ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ამ უკანასკნელ დროს საქმიანად მოჰკიდეს ხელი ადრე ჩამორჩენილი დარგის — მეცხოველეობის განვითარებას.

კარგი ჩანაფიქრი აქვს ამ მეურნეობის დირექტორს ჯ. გუმბას. აქ ვარაყობენ უკვე წლის ბოლოს ფერმაში დანერგან საოჯახო იჯარა, მაგრამ, ამას ბევრი რამ უშლის ხელს. ავიღოთ თუნდაც ფერმის კომბინირებული საკვებით უზრუნველყოფის საკითხი. ძროხებისათვის საჭირო ამ საკვებს ფერმა ორჯერ ნაკლებს იღებს. წელს 60 ტონის ნაცვლად მიიღეს მხოლოდ 25 ტონა კომბინირებული საკვები.

ამ დღეებში სოფელ პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ს. კეშეშიანი) მეცხოველეობის ფერმის ახალი შენობა ჩადგა მწყობრში, მაგრამ პირუტყვი ზამთრისათვის სათანადო საკვებით არ არის უზრუნველყოფილი. 266 ტონის ნაცვლად აქ დამზადებულია 144 ტონა თივა, ხოლო სენაჟი და სილოსი ჯერჯერობით არც ერთი ტონა არ არის ჩადებული. გარდა ამისა, საკვების გადასამუშავებელ ახალ საამქროში დანადგარები ჯერ კიდევ დაუმონტაჟებელია, ფერმის მუშაკები სათანადო სპეციალისტების მოლოდინში არიან.

რაიონში რძისა და ხორცის დამზადების გადიდების საქმეში დიდ იმედებს ამყარებენ სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საწარმოს სრული სიმძლავრით ამოქმედებაზე. მართალია, კომპლექსი სამი წლის წინათ აშენდა, ჯიშიანი პირუტყვიც შემოიყვანეს, მაგრამ აქ იმდენი შესასრულებელი სამუშაოა დარჩენილი, რომ საქონლის ნორმალურ გამოზამთრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. და რა გასაკვირია, რომ აქ შეკეთება კი არა, ახალ ნაგებობათა რეკონსტრუქცია მიმდინარეობს; ვისი ბრალია? ყოფილ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №7 ტრესტისა. მშენებლებმა საწარმო დაუმთავრებელი დატოვეს. გარდა ამისა, მხოლოდ ახლა ირკვევა, რომ ზოგი რამ უსწოროდაც იყო დაპროექტებული და უხეიროდ აშენებული. უკვე მეორე წელია შეუდგენენ მის გადაკეთებას, მეწველი პირუტყვის სადგომი ორი ხაზი უკვე გადაკეთეს, ხოლო ამჟამად ზამთრისათვის ვერ ასწრებენ პირუტყვის სადგომი მესამე ხაზის რეკონსტრუქციას და მოსალოდნელია ძროხების სადგომი გაუთბობელი დარჩეს.

ძროხებისა და ხბორების რა თბილ გამოზამთრებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც აქ კარგა ხნის წინათ დამონტაჟებული თბოგაყვანილობის ხაზები და თვით საქვაბეები მშენებლებს თავის დროზე არც კი გამოუცდიათ საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის. ამის გამო დროთა განმავლობაში მილები და დანადგარები დაიაჟანგა. მწყობრიდან გამოვიდა, პროექტით კი გათვალისწინებული იყო სამუშაოები მანქანების გამოყენებით შესრულებულიყო. ახლა მეცხოველეობის ამ ახალ „საწარმოში“ ძროხებს ხელით წველიან, მოუწესრიგებელია ნაკელის გასატანი მოწყობილობა; აღნიშნული და სხვა მიზეზების გამო კომპლექსის საპროექტო სიმძლავრე სანახევროდაც არ არის ათვისებული. კომპლექსი კი უკვე 3-4 წელია მოქმედებს.

უფრო მეტიც, სოფლის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებულ ამ ახალ საწარმოში, სადაც 40-50 კაცი მუშაობს, მომსახურე პერსონალისათვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებიც კი არ არის შექმნილი. სანიტარიულ ბლოკში უხარისხოდ გაკეთებულ რკინაბეტონის სახურავიდან წვიმა ჩამოდის, თვით შენობა უკვე ავარიულ მდგომარეობაშია, მისი ოთახების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ არ მუშაობს საშხაპეები. მეცხოველეებისათვის არ არის დასასვენებელი ოთახები...

იმის გამო, რომ მშენებლებმა დაუმთავრებელი დატოვეს საწარმოს ტერიტორიის, პირუტყვის გამოსაშვები მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები, აქ წვიმის დროს და საერთოდ ზამთარში გაუვალი ტალახია. ბუნებრივად იბადება კითხვა: ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ყველა ამ ხარვეზისა და ნაკლოვანებებისათვის?

მშენებლები დიდი ხანია აქედან წავიდნენ, მაგრამ წავიდნენ ისე, რომ ობიექტი საექსპლოატაციოდ ოფიციალურად დღემდე არავის ჩაუბარებია. ადგილზე კი ამ ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში ამ საწარმოს ხელმძღვანელობა 6-ჯერ შეიცვალა. მისი ახლანდელი ხელმძღვანელი — საბჭოს თავმჯდომარე ა. იჩმელიანი ყველა ზომას ხმარობს რათა პირუტყვი ზამთრისათვის მშიერი არ დარჩეს. ამაში მას ხელს უწყობენ სოხუმის წყალსამურნეო ობიექტების მეთაური სამმართველოს (უფროსი — ლ. შარანგია) მექანიზატორები. მათ სანიმუშოდ მოამზადეს 100 ჰექტარზე მეტი ახალათვისებული მიწები, სადაც დაითესება სასილოსე სიმინდი, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები, მაგრამ ეს სამმავლოდ არის ნავარაუდევი. წელს რა ეშველებათ? ამჟამად აქ დამზადებულია 640 ტონის ნაცვლად მხოლოდ 111 ტონა თივა, 160 ტონა სენაჟი, დაგეგმილი 2.280 ტონის ნაცვლად 1.000 ტონა სილოსი...

ზამთრისათვის მზადებაში ასეთი დიდი ხარვეზები შეიწყნარებელია. რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა როგორმე დაიღწიონ თავი ამ საკვალაო მდგომარეობას. მათ, ალბათ, მეზობლებმაც უნდა გაუმართონ ხელი.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



უხვად დაამზადეს სილოსი თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებლებმა. მათ საზამთროდ 750 ტონა სასილოსე მასა მოიმარაგეს.

საკვებდამამზადებლებს შორის მეწინავეობს ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის რაიკომის ბიუროს წევრი, შრომითი დიდების ორდენოსანი ღენტორ ბრეგვაძე.

სურათზე: ილებენ სასილოსე მასას რუფოთის საბჭოთა მეურნეობაში.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სხვათა მოიმედეობით

ანუ, როცა რაიონის გეგმას მხოლოდ ორი კოლმეურნეობა ასრულებს, ხოლო დანარჩენი მეურნეობების ხელმძღვანელებს არაფერი ადარდებთ

ტრთა საბჭოს ამასწინანდელ დადგენილებას ავტონომიურ რესპუბლიკაში საკვების ჭასობრივი დამზადების ორთვიურის შესახებ, მდგომარეობაც კარგია. აი მაგალითიც: სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის და სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობებში, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირები ხ. აობა, დ. გოგიბერიშვილი ხელმძღვანელობენ, ყველა პირობაა შექმნილი პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრებისათვის. გარდა იმისა, რომ აქ დროულად შეაკეთეს და წესრიგში მოიყვანეს პირუტყვის ბინები, საკვების დამამზადებელი საამქროები, შექმნილია აგრეთვე მტკიცე საკვები ბაზა. ორივე კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა თივისა და სენაჟის დამზადების წლიური დავალებები. ლიხნელებმა უკვე მოამარაგეს 540 ტონა თივა, 1.500 ტონაზე მეტი სენაჟი და 1.300 ტონაზე მეტი სილოსი. ასევე მონდომებით იშრომეს ორჯონიკიძელმა საკვებმომპოვებლებმა, რომლებმაც დაამზადეს 340 ტონა თივა, 550 ტონა სენაჟი და 800 ტონა სილოსი...

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე არ არის. საქმე იქამდე მივიდა, რომ სენაჟის ჩადება არც ერთ სხვა კოლმეურნეობაში არ გახსენებიათ, და ამ მნიშვნელოვანი საკვების დამზადების დავალება ფაქტობრივად ჩაშალეს. მთლიანად რაიონში სენაჟის დამზადების გეგმა ლიხნისა და ორჯონიკიძის კოლმეურნეობათა მიერ ამ საკვების დამზადების დავალების ორმაგად გადაჭარბების ხარჯზე შესრულდა (?!). ერთი მხრივ, თითქოს რაიონმა ეს დავალება გადაჭარბებით შეასრულა, 540 ტონით მატი სენაჟი დაამზადა და აგროსამრეწველო გაერთიანებას (საბჭოს თავმჯდომარე — შ. ამპარი) თითქოს ფორმალურად ვერ უსაყვედურებ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: 16 კოლმეურნეობის პირუტყვი ზამთრისათვის უსანაყოდ რჩება. სამწუხაროდ, ვერც თვითს დამზადებას დაიკვეხნიან გუდაუთელი საკვებმომპოვებლები. საკმარისია ითქვას, რომ აქ თივის დამზადების წლიური დავალება „შესრულებულია“ მხოლოდ 51,2 პროცენტით. 5.140 ტონის ნაცვლად ადგილზე დაბინავებულია 2.632 ტონა თივა, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე 1.633 ტონით ნაკლები.

სიუხვე ხარისხიანმა საკვებმა და კარგმა მოვლამ იცის

საზოგადოებრივ მეურნეობაში წესრიგში მოიყვანეს პირუტყვის სადგომები. შეაკეთეს ან მთლიანად შეცვალეს ნაკელგამტანი ტრანსპორტიორები, წყლის გასათბობი დანადგარები. ფერმები უზრუნველყოფილია სასმელი და ტექნიკური წყლით, შეუფერხებლად მოქმედებენ საკვებდასამზადებელი საამქროები და საკვებდასაქუცმაცებელი დანადგარმოწყობილობანი. პირუტყვს წინასწარ კარგად დამზადებულ და ვიტამინებით გამდიდრებულ საკვებს აძლევენ. ამის გამო ფერმებში ინარჩუნებენ ზაფხულის დიდი წველადობის მაჩვენებლებს. მეცხოველეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოსთვის პროდუქციის მიყიდვის წლიური დავალება ვადამდე ერთი თვით ადრე შეასრულონ.

ფერმებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორცეულდება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. გულდასმით არჩევენ შესაცვლელ მოზარდს, ამასთან კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში მეწველი ჯიშიანი სანაშენე დეკეულებს ზრდიან და მერე რაიონის სხვა მეურნეობებს მიპყიდიან ხოლმე. ახლახან დიდი შევსება მიიღეს სარეკის, ცხამისა და ლიჩის კოლმეურნეობებმა, სადაც ამის შედეგად გაისად მკვეთრად გაიზრდება წველადობა.

მართალია, შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად იმატა კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ოდენობამ, მაგრამ ცხრა თვეში კვერცხის წარმოების დავალება მხოლოდ 91,1 პროცენტით არის შესრულებული. ჩამოვრჩით იმის გამო, რომ საჩხერის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივში მოისუსტებს შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა, რის გამო ფრინველს მოაყლდა მოვლა, ირღვევა ზოოვეტერინალური რეჟიმი, მაგრამ არც კვების საქმეა კარგად. სამე ის არის, რომ კომბინირებული საკვების საწარმოები ფაბრიკას აწვდიან უხარისხო საკვებს, რომელშიც სასარგებლო ნივთიერებათა შემცველობა ნორმასთან შედარებით შეცირეა, ამიტომ საკვებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ვერ ვაძლევთ ფრინველს.

გამოსაზამთრებლად მომზადება მარტო ყველა სახის საკვების უხვი მარაგის შექმნა, საკვების საამქროს, ფერმებისა და კომპლექსების მექანიზმების გაწყობა და სათავსების შეკეთება კი არა, უწინარესად, ეს არის ადამიანებზე ზრუნვა, მათი ცხოვრების, შრომის, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების შექმნა. მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ფერმების საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტჯგუფებმა ამ მხრივაც ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს. კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის მუშაკთა განკარგულებაშია თანამედროვე, ნათელი კაპიტალური დასასვენებელი ოთახები, ჰიგიენის ოთახი, მათ შეუძლიათ თავისუფალ დროს წითელ კუთხეში ნახონ ტელევიზიები, მოუსმინონ რადიოს, წიკოთხონ ახალი გაზეთები და ჟურნალები, მოისმინონ საინტერესო ლექციები ან შეხვდნენ ავიტმხატვრულ ბრიგადებს. ბევრ ფერმას ამჟამად ემსახურებიან ავტოსავაჭროები და საყოფაცხოვრებო მომსახურების მომღები პუნქტები. მათ თან მიაქვთ პირველი მოთხოვნილების საქონელი, იღებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების დაკვეთებს. მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. მიმდინარეობს მუშაობა იმისათვის, რომ ყველა ფერმაში მომუშავე ადამიანებს შეეუქმნათ ნალისანი შრომის, დასვენებისა და გართობის ყოველგვარი პირობები.

ამჟამად მეცხოველეობის ფერმებში პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დევნილი — სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი, ზამთარშიც გვქონდეს იმდენი რძე, რამდენსაც ზაფხულში ვიღებდით, მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი, გავზარდოთ ხორცისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

ხ. კიპაროიძე,
საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის მეორე მდივანი.

ვინც იმარჯვა და ვინც იზარმაცა

ჩვენი მიმოხილვა სტატისტიკური სამმართველოს ცნობების მიხედვით

პირუტყვის საკვებ რეზერვებს გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ აქვს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში, ამას მტკიცება არ უნდა.

ვინც წლევანდელი წლის ამინდის პროგნოზების ოფიციალურ ცნობებს თვალყურს დროზე ადევნებდა, იმან ყველაფერი იცოდა, რათა პირუტყვის საკვები თავის დროზე მოემარაგებინა. ალბათ ყველასახსოვს ადრიანი გაზაფხულის ავდრიანი დღეები, როცა ხშირწვიმიანობამ, რომ იტყვიან, ქვაზეც კი ბალახი მოიყვანა. აი, მაშინ ვინც ალღო კარგად აუღო, ვინც კარგად გაანაწილა შრომითი რეზერვები და ბალახი დროზე გაითიბა, მას თივა და სენაჟი ახლა სამყოფად აქვს მომარაგებული.

ახლა რაც შეეხება უხეშ საკვებს: მისი დაგროვების საქმე სანაქებოდ აქვთ ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ამბროლაურის, ადიგენის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ყვარლის, ქარელის, კასპის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მახარაძის, მესტიის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ხაშურის და სხვა რაიონების საკვებმომპოვებლებს. საერთოდ უხეშ საკვების დაგროვების რესპუბლიკური დავალება საკმაო გადამეტებით კი შესრულდა, მაგრამ ეშველებათ წითელწყაროს, ზუგდიდის, ონის რაიონების მეცხოველეებს, სადაც 20 ოქტომბრისათვის წლევანდელი გეგმა (თანმიმდევრობით) 77,68, 95 პროცენტით არის შესრულებული? ვერც აფხაზეთის ასსრ და წყალტუბოს ზონის მეცხოველეებს აქვთ საქმე ამ მხრივ კარგად.

სილოსი რომ ყუათიანი საკვებია პირუტყვისათვის, ესეც ყველამ იცის, მაგრამ წელს სილოსის ჩადების დავალება რესპუბლიკაში 20 ოქტომბრისათვის მხოლოდ 73 პროცენტით იყო შესრულებული. ამ საქმეში ბრალი განსაკუთრებით მიუძღვით აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ტყიბულის ზონის, გურჯაანის, ყვარლის და სხვა რაიონების საკვებმომპოვებლებს.

საჩხერის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და თანადგომით სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე ენერგიულად გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებისათვის და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა პირუტყვის სულადობის, ფრინველის რაოდენობის, ნამატის გამოზრდის დავალებები, მკვეთრად გაიზარდა პირუტყვის წონამატება, იმატა წველადობამ, გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის დავალება.

ზემო აღნიშნულის გარდა, მიღწევები იმის შედეგიც არის, რომ მეურნეობებში დაინერგა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული მეთოდები — სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა. ამჟამად ფერმებში ამ მეთოდით იღვწის 23 ბრიგადა, რომლებიც უკლიან საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის 77 პროცენტს, ღორის სულადობის 89 პროცენტს და ფრინველის მთელ რაოდენობას. გასულიდან კოლექტიურ იჯარაზე ფერმების ყველა ქვეგანაყოფი გადავა.

ამჟამად ფერმებში მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება, რისთვისაც მეურნეობები წინასწარ საფუძვლიანად მოემზადნენ. ეს გამოვლინდა ახლახან პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადყოფნის დათვალიერების დროს. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უპირველესად გამამკიცეს საკვების ბაზა. დამზადებულია და ფერმებთან მიზიდულია 5441 ტონა თივა საგეგმო 3.500 ტონის ნაცვლად და შარშან დამზადებულზე 1.800 ტონით მეტი. საგეგმოზე ორჯერ მეტი დამზადდა სენაჟი. გათვალისწინებულზე ბევრად მეტია მომარაგებული სილოსი, საკვები ძირხვენები, ჩალა და ა. შ. ერთ პირობით სულ პირუტყვზე საგეგმო 12,7 ცენტნერი საკვები ერთეულის ნაცვლად დამზადდა 17 პირობითი ცენტნერი დიდუყუთიანი საკვები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მეცხოველეობის ფერმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველსაყოფად. კორბოულის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსსა და ლიჩის კოლმეურნეობაში განხორციელდა ფერმების ძველი შენობების რეკონსტრუქცია. ყველა ბის გასაუმჯობესებლად. გულდასმით არჩევენ შესაცვლელ მოზარდს, ამასთან კორბოულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში მეწველი ჯიშიანი სანაშენე დეკეულებს ზრდიან და მერე რაიონის სხვა მეურნეობებს მიპყიდიან ხოლმე. ახლახან დიდი შევსება მიიღეს სარეკის, ცხამისა და ლიჩის კოლმეურნეობებმა, სადაც ამის შედეგად გაისად მკვეთრად გაიზრდება წველადობა.

მართალია, შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად იმატა კვერცხის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ოდენობამ, მაგრამ ცხრა თვეში კვერცხის წარმოების დავალება მხოლოდ 91,1 პროცენტით არის შესრულებული. ჩამოვრჩით იმის გამო, რომ საჩხერის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივში მოისუსტებს შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა, რის გამო ფრინველს მოაყლდა მოვლა, ირღვევა ზოოვეტერინალური რეჟიმი, მაგრამ არც კვების საქმეა კარგად. სამე ის არის, რომ კომბინირებული საკვების საწარმოები ფაბრიკას აწვდიან უხარისხო საკვებს, რომელშიც სასარგებლო ნივთიერებათა შემცველობა ნორმასთან შედარებით შეცირეა, ამიტომ საკვებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ვერ ვაძლევთ ფრინველს.

გამოზამთრება გაზაფხულიდან იწყება

